ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი № 46

20 ნოემბერი, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

გულია ბოცირიძე

გიორგი ბირბიჩაძე

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ შესწავლილი იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მერის 2020 წლის 13 ნოემბრის # 12-032031836-03 წერილი), რომლის მიხედვითაც თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის შემოსულობები განსაზღვრულია 840 302 500 ლარით, რაც 2020 წლის თავდაპირველ დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში 181 098 100 ლარით ნაკლებია.

მიუხედავად კორონავირუსის გავრცელების გამო ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური და ფინანსური ვითარებისა, რაც გარკვეულწილად ასახულია თბილისის 2021 წლის ძირითად ფინანურ მაჩვენებლებზეც, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროექტით დაფინანსდება ყველა ის მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქის მაცხოვრებელთა სოციალურ დაცვას, ჯანდაცვას, ეკონომიკურ განვითარებას, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება/გაუმჯობესებას, ტრანსპორტის განვითარებას, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, კომუნალური მეურნეობების განვითარებას, განათლებას სპორტსა და კულტურას და ა.შ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ, ბიუჯეტის პროექტის დამუშავებისას აქცენტი გაკეთდა იმ პროგრამულ კოდებზე, სადაც საუბარია მისამართის აღმნიშვნელი აბრების განთავსებაზე (02.09.01) და ღონისძიებების უზრუნველყოფაზე (02.07)

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ბიუჯეტთან შედარებით 02.09.01 პროგრამული კოდისთვის შემცირდა ფინანსური მოცულობა, თუმცა აბრების განთავსების მიმართულებით შემცირება არ შეიმჩნევა და წინა წლების მსგავსად 500 000 ლარია გათვალისწინებული, რაც დაგეგმილი სამუშაოების სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

კომისიის მიერ განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02.09.01) გათვალისწინებულ თანხებზე(11, 175 0, ათასი ლარი) და ღონისძიებების უზრუნველყოფაზე (02.07) გათვალისწინებულია 9.158.1 ათასი ლარი.

კომისიის მიერ საფუძვლიანად იქნა შესწავლილი 02.09.01 პროგრამული კოდის ის ღონისძიება, სადაც საუბარია ქუჩების ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟისთვის გამოყოფილ თანხებზე. ხსენებული სამუშაოებისთვის წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია 500 000 ლარი.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით 2020 წელს დაიგეგმა და ბიუჯეტშიც აისახა თბილისის საკრებულოს შენობაში დიმიტრი ყიფიანის ბიუსტის, ხოლო ზვიად გამსახურდიას სანაპიროზე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მემორიალის მოწყობის საკითხები, პანდემიის გამო არსებული განსხვავებული მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით 2020 წლის გახძავლობაში საძწუხაროდ ვერ იქსა ხსენებული პროექტები დასრულებული, 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში ხსენებული მემორიალური ობიექტების მოწყობისთვის კვლავ იგივე მოცულობის თანხა - 500 000 ლარია გათვალისწინებული.

გადაწყვიტეს: ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მხარს უჭერს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დატკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის წარმოდგენილ რედაქციას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი